

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება
--

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060605

ქვეპროგრამის დასახელება:

2008 წლის რუსული აგრესიის დროს დაღუპულ, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	75 000
სულ ბიუჯეტი:	75 000

ქვეპროგრამის მიზანი:

2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული საომარი მოქმედების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/დაღუპულ და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური და მორალური მხარდაჭერა
--

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული 19 სამხედრო მოსამსახურის, მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 3 მეომრის, ასევე, 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ 3 მეომრის ოჯახზე მატერიალური დახმარების გაწევას.

ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან:

--აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრები;

-2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრები, რომლებიც 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე .

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრები.

ავგისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა 25 მეომრის ოჯახს - თითოეულს 3000 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გამგებებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან წარმოდგენილი უნდა იქნას ქვეპროგრამის ბენეფიციართა და მათი ოჯახის წევრთაგან მატერიალური დახმარების მიმღებ პირთა სია და საბანკო რეკვიზიტები. შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის შუამდგომლობის საფუძველზე დასაშვებია ოჯახის დახმარების თანხის წილობრივი გაცემა მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე ან შვილის კანონიერ წარმომადგენელზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
დაღუპულთა და შშმ მეომრების ოჯახების დახმარება	25	3 000	75 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			75 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
--	------------	------------	------------	------------

ბენეფიციართა სიების გამოთხოვა მუნიციპალიტეტები ს გამგეობებიდან და მერიიდან			X	
თანხის გაცემა			X	

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

დადუპული და შშმ მეომრების ოჯახების სოციალური და მორალური დახმარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
დაღუპული და შშმ მეომრების ოჯახების სოციალური დახმარება	დაღუპულთა ოჯახების დახმარება	25	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან ბენეფიციართა სიების გამოთხოვა